ცნობის ფურცელი

№ 2098 | კვირა, 16 მარტი | 1896—1903 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 2098

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ბანკის ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

ამ №-თან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების“ მე-101 №-რი.

უმთავრესი კანტორა დ. ხ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ
საუკეთესო ვენახების

კახურის ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდან დაქირავებულია სარდაფები **პეტრუსა მაქაროვისა**. კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლგას ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება ბოთლი 25 კაპ. დაწყებული.

ნარდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზე ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლში თვითონვე მიუტანს.

ღვინო იყიდება:

საწყობში—გოლოვ. პროს. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ. № 595.

დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფ. № 60.

დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210.

კავკასიის აფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. (0—9)

სეტყვის ამაცდენელი ზარბაზანი (მორტირა)
კელენის სისტემისა

„იდეალ“

სახალხთაშორისო კონგრესზე ლიონში **უმაღლესი საჩუქარი** მიუღია. მკვიდრად გაკეთებულია და ხმარებაც **სულ უშიშრად** შეიძლება. სრულიად რუსეთისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელია **პეტრე ქიფიანი** ტფილისში, ოლგინსკი ქუჩა, სახლი მაკაროვისა. **ტელეფონი 150.** ზარბაზნების საწყობი სარაჯევის სახლშია წყნეთის ქუჩაზე. (0—13)

ამ წლის მაისის თვეში ტფილისში გაიმართება „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ

სახალხო სეირნობა

საქველმოქმედო ბაზრითურთ.

შემოწირულებათა გამოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულის ჭავჭავაძისთან, (ნიკოლოზის ქუჩა, № 21) ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა). (0—3)

გოლოვინის პროსპექტი, არაფელოვის სახლი, კადეტთა კორპუსის პირდაპირ.

„ელექტრო-ბიოგრაფი“

ცოცხალი ფოტოგრაფია. წარმოდგენა ყოველდღე ნაშუადღევის 4 საათიდან საღამოს 9 საათამდე. აჩვენებენ „ორლეანის ქალწულს“ და მრავალ სხვასა. კვირა-უქმე დღეებში წარმოდგენა იმართება შუადღის 12 საათიდან. საღამოს 9 საათის შემდეგ საგანგებო წარმოდგენები იმართება. დრამატიული ფერია „**ლურჯიწვერი**“ და მრავალი სხვა.

თუ ვინმე მოისურვებს, წარმოდგენებს ვმართავ სახლებსა და გიმნაზიებშიაც. (1—1)

წარმოდგენა 42—4. ტელეფონი 617

ქართული თეატრი

კვირას, 16 მარტს, 1903 წ.

✦ ს. სვიმონიძის საბენეფისოდ ✦

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
პირველად ახალი პიესა

I

მურად-ფაშა

ისტორ. დრამა 4 მოქმედებ. ბ-ლისა, აზრი აღებულია მეტერლინკის „მონნა ვანადან“.

II

ბედნიერი ცოლქმრობა

ვოდევ. 1 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარელისა, ელ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ბ. რიონელი. ბ.ბ. გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი, დედაბრიშვილი, იორდანოვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად გ. იბსენის პატივსაცემლად „ნორა“, „მედეია“.

რეჟისორი ვ. **გუნია.**

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

ექიმები:

მ. ი. ჩიქინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ა. ნ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ბაღდავნიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოვი.—საშარდე (სირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათ $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ნ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდეს 1—2 საათამდე.

ბრ. მ. ხოდოლევსკი—სირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. ნ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი **ნ. დ. ნახარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (აგჯანის ქუჩის დასაწყისში). **ტელეფონი № 274** (წ.

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ექიმი

ც. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

პოეტი გრიგოლ დავითის ძე აბაშიძე

—

რადა ვარ?—მკვდარსა მოვგავარ
მღილის საღრღნელად ქცეულსა,
გრძნობა დაჩლუნგულს, სულ დახშულს
და მავნედ გამოწვეულსა!...

ახლად გარდაცვალებული მგოსანი გრიგოლ აბაშიძე ცნობილია ჩვენს საზოგადოებაში, როგორც ავტორი მრავალ სალირიკო ლექსისა. ლირიკა პოეზიის ის დარგია, რომელიც უპირველეს ყოვლისა თვით პოეტის სულის განწყობილებას, მის გრძნობას და ფიქრს გადმოგვცემს. გრიგოლ აბაშიძე სიყმაწვილითვე გრძნობიერი გულის პატრონი იყო, და ამიტომ იმის ლექსებს იშვიათის გულწრფელობის და ბუნებრივობის ელფერი აქვთ. ვერც ერთს ისეთს ლექსს ვერ დავასახელებთ, რომლითაც გრიგოლს თვის მკითხველის მოტყუება უნდოდეს. ჩვენს დროში სალირიკო პოეზია სიყალბის პოეზიად ხდება, პოეტი ხშირად, თითქმის უმეტეს წილად, ისეთის გრძნობებით და აზრებით გვისურათებს ლექსებში თავის თავს, რომლებიც იმას მხოლოდ ენაზე აკერია და გულთან კი არავითარი კავშირი არა აქვს. ეს სიყალბე, რომელიც ჩვეულებრივი თვისებაა ნაძალადევის პოეტისა, გრ. აბაშიძისათვის არ არსებობდა; იმისი გულწრფელობა იმდენად ძლიერი და ღრმა იყო, რომ ხშირად საჯაროდ ისეთს აზრებს გამოსთქვამდა, რომლებიც სულ ერთის ან ორის დღის წინად მისგანვე დაგმობილი და უარყოფილი იყო. მაგალითად, მე-197-ე გვერდზე მისი თხზულებისა პოეტი ამბობს:

სისხლის ცრემლებად დნება
მთელი ჩემი ბუნება,
დავმარხე იმედები,
ოცნება და რწმუნება! და სხვ.

სულ ორი გვერდის იქით კი (201 გვერ.) გვეუბნება:

რას მიქვია მწუხარება,
მრავალი გლოვა, კვნესა ავზე,
ოდეს წინ სვლის წმინდა სხივი
იმედს ჰსახავს კაშკაშ გზაზე; და სხვა...

ეს და მრავალი სხვა ამ გვარი ერთი მეორის მოწინააღმდეგე აზრი და გრძნობა აბაშიძის ლექსებში ყველგან სრულის გულწრფელობით და უყალბო გულახდილობით არის ნათქვამი. როგორც მგრძნობიერი პოეტი, აბაშიძე ჩვენ ქართველ საზოგადოების სარკედ მიგვაჩნია. იმისი ხანმოკლე და შინაარსით ღარიბი სიცოცხლე ღრმად, ერთგულად უნდა იქმნეს შესწავლილი, რომ თვალნათლივ გამოირკვეს პოეტის ხასიათი... ეს მომავლის საქმეა, აქ მხოლოდ გაკვრით აღვნიშნავთ, რომ განსვენებულ მგოსნის მთელი არსება შეპყრობილი იყო თანამედროვე ქართველობის სულიერის სენით,—გრძნობისა და აზრის უმტკიცობით. პოეტს ნაღველით ევსება გული, რომ მისი სულიერი განწყობილება არავითარს კანონს არ ემორჩილება... ვიდრე ჭაბუკი ვიყავ და სისხლი მიღელავდა, ჩემის გრძნობათა თაიგულის უმშვენიერესი ვარდი სიყვარული იყო, როდესაც მოვხუცდი და უძლური შევიქენ—ხალხის სამსახურს მოვკიდე ხელი, მაგრამ შემთხვევით ერთს მშვენიერს ქალს დაუახლოვდი და სიყვარულმა ისევ დამავიწყა ხალხის სამსახური. მგოსანი აშკარად გვეუბნება, რომ იმის ბუნებას მანძილი და სიმტკიცე აკლია, მაგრამ ზოგჯერ ამ აზრშიაც კი ეპარება ეჭვი... თავის საყვარელს არსებას ულერსებს, მზად არის ყოველივე შესწიროს იმას, მხოლოდ ერთის პირობით,—სატრფომ სამშობლოს სიყვარული არ უნდა დაუშალოს, რადგანაც უმალ სატრფოს უარჰყოფს, ვიდრე სამშობლოს. როგორც ვხედავთ, ჩვენს მგოსანს დანამდვილებით, გადაჭრით ისიც კი არ გამოურკვევია, აქვს რაიმე მტკიცე გრძნობა ან აზრი, თუ არა.—ეს ფრიად ტიპიური თვისებაა.

მტკიცე იდეალურ მისწრაფებას მოკლებული ადამიანი იგივე უსულო, მაგრამ ცოცხალი გვამია. ჩვეულებრივ, ასეთი ადამიანი თავის დაძაბუნებას ჰგრძნობს და უკმაყოფილოდ არის, იმისთვის სიცოცხლის, არსებობის ინტერესი არ არსებობს... ეს დაძაბუნება, გრძნობის დაჩლუნგება მხოლოდ ხანდახან ისპობა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ დროებით იმალება რომელიმე მსუბუქის, უფრო ხშირად პირუტყვულის ინსტიქტიურის გრძნობის გავლენით. უიდეალო, უპრინციპო ადამიანი აუცილებლად ეძიებს გულის გამართობელს, დროს მოსაკვლელ საშუალებას.. თუ ლოთობას და გარყვნილებაში არ ჩაიხრჩო თავი, ის სიხარულით ებღაუჭება ყოველს გრძნობას, რომელიც-კი ოდნავ აცუცუნდება იმის გულში, და ამ გრძნობას ჰსახავს თავის იდეალად, მისწრაფებად. გრ. აბაშიძე, განსაკუთრებით მწერლობის უკანასკნელს ხანებში აშკარად ჰგრძნობდა თავის ბუნების დაძაბუნებას, უპრინციპობას და აი სწორედ ამას უნდა დაუკავშიროთ ის უცნაური გარემოება, რომ ხშირად მისი დღევანდელი და გუშინდელი ლექსები სულ სხვა-და-სხვას ამბობენ, თუმცა მათი ავტორი მუდამ გულწრფელია და გულახდილი.

საზოგადოებრივი სენი ისე თვალსაჩინოდ არასოდეს არ ემცნევა ჩვეულებრივს ადამიანს, როგორც განსაკუთრებითის ნიჭით დაჯილდოვებულს ბუნებას. განსვენებული აბაშიძე ჭეშმარიტი პოეტი იყო, ჩვეულებრივი ბურჟუაზიული მისწრაფებანი იმისთვის სასიცოცხლო ინტერესს არ წარმოადგენდნენ, სიმდიდრეს ის გულში ეძიებდა, მაგრამ აქ ფუქსავატობის მეტი ვერაფერი ჰპოვა. ზოგჯერ, უტყუარის ნიჭით გაცხოველებული მგოსნის კალამი საუცხოვო სურათებს გვიყენებს თვალწინ და მაღალ გრძნობებს გვამცნებს, მაგრამ იმის პოეზიას ძლიერება და ამიტომ დამატყვევებელი მშვენიერება აკლია.

ნაზი და ტურფა ყვავილი მხოლოდ იქ ხეირობს, სადაც ნიადაგი ნოყიერია და ხელშემწყობი, რადგანაც ყვავილმა თავის მაცოცხლებელი წვენი ფესვებით უნდა გამოსწოვოს ნიადაგს. გრ. აბაშიძეც ყვავილი იყო, ნაზი და მგრძნობიარე. იმისი პოეტური ბუნება ჩვენს ხრიოკს საზოგადოებრივს ნიადაგზე ამოცენდა. იმის ნიჭს რომ ტანი აეყარა და უხვად შემოსილიყო ტურფა ფოთლით, თვით საზოგადოებრივი ნიადაგი უნდა ყოფილიყო მდიდარი ჯანსაღის წყობილებით და მიმართულებით. თუმცა გადუშლელი, მაგრამ მაინც ყვავილოვანი ნიჭი გრიგოლისა გულწრფელად უყვარდა და უყვარს ქართველს საზოგადოებას, რომელიც დღეს გულდაკოდილია საყვარელის პოეტის გარდაცვალებით.

ზანგი.

საზღვარ-გარედ

—

ბალკანეთი. საბერძნეთის არ იყოს, რუმინიაც ვერ არის კეთილად განწყობილი ბოლგარიასთან—მაკედონიაში მასაც აქვს ანგარიშები: იქ ცხოვრობენ ეგრედ წოდებული კუცოვლახელები, რუმინელების მონათესავე ტომი. მით უფრო საგულისხმიეროა ის ცნობები, რომელიც რუმინიის ერთ ოფიციალურ გაზეთშია მოთავსებული. ეს ცნობები ეკუთვნის გაზეთის საგანგებო კორესპონდენტს. „საკვირველზე მეტი იქნებოდა, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ (მაკედონელებს) ვუსაყვედუროთ, რატომ იარაღს არა ჰყრიან და ხელს უშლიან ოსმალეთის მთავრობას განახორციელოს ავსტრია-რუსეთის მიერ შემუშავებული პროექტი რეფორმებისა. როგორ დაჰყარონ იარაღი, როცა ოსმალები და ალბანელები მაკედონიის სამივე ვილაეტში შეიარაღებული არიან და პორტა არავითარ ზომას არა ხმარობს მათ იარა-

დი ახადოს. ეს მაჰმადიანები კი ისე მტრულად არიან განწყობილი ბოლგარელებთან, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ყველას ყელებს დასჭრიან, თუ დარწმუნებული იქნებიან, რომ მსხვერპლები უიარაღონი არიან. ასეთ პირობებში მარტო თავის დაცვის ინსტიქტია საკმარისი, რომ მაკედონელმა იარაღი არ აიყაროს და არ გაუმჟღავნოს ოსმალებს იარაღის საწყობის ადგილი, რაც უნდა ტანჯვა არ მიაყენონ. აღსანიშნავია, რომ აჯანყებულთა რაზმები მაკედონიაში კი არ მცირდება, პირიქით, ემატება კიდეც. თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ აჯანყება მაკედონიის ყველა ბოლგარებს მოედო და არ არის ბოლგარელი, რომ შეიარაღებული არ იყოს და არ ჰფიქრობდეს მეთაურების პირველ მოწოდებისათანავე იარაღი დაატრიალოს. რაც უნდა არ მოინდომოს ბოლგარიის სამთავრომ, იგი ვერ შეაჩერებს ვერც იარაღის შეტანას მაკედონიაში და ვერც ვოლონტიორების საზღვარზე გადასვლას. ბოლგარიისა და ოსმალეთის საზღვარზე იმდენი ვიწრო და მიმალული ხეობებია, რომ შეუძლებელია საზღვრის ნამდვილი თვალყურის გდება. გარდა ამისა, მაკედონიის მეზობლად მდებარე სოფლების მცხოვრებნი ისე შეთვისებული არიან მაკედონელებთან, რომ ვერავითარი ძალა მათ ვერ შეაჩერებს და ვერ დაუშლის აჯანყებაში მონაწილეობა მიიღოს“.

◆ მონასტირის ვილაეტში საშინელი მდგომარეობაა თურმე. მონასტირი აჯანყების კერაა და ამ გარემოებას იმითი ხსნიან, რომ არსად სხვაგან მაჰმადიანთა ფანატისმს არ უმოქმედია ასეთის ულმობელობით. რომელი წამებაა, რომ ქრისტიანს აქ არ გამოეცადოს! მონასტირელი მოკლებული იყო სულ უბრალო ელემენტალურ უფლებებსაც და ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა მანამდე, სანამ მცხოვრებთა ერთი ნაწილი არ გაიქცა და მეორე ნაწილი აჯანყებას არ შეუდგა. არც აჯანყებულები იქცევიან ლმობიერად: ვინც დაბეზღებას დაემუქრება ან ფულზე უარს ეტყვის მათ, სიცოცხლეს უნდა გამოესალმოს. ყველგან, ყოველ გლეხის სახლებში ნახავთ დამბაჩებს, რევოლვერებს, ტყვიის და სხვა საომარ მასალას. ჟანდარმები, რასაკვირველია, არავის ზოგავენ, შეუბრალებლად ჟლეტენ მოხუცებსა და ბავშვებს და დედაკაცებს აუპატიურებენ.

◆ „ბერლინერ ტაგებლატ“-ს დეპეშით ატყობინებენ ვენიდან; „აქ მოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ ოსმალელ ჯარებთან საბრძოლველად მაკედონელი რევოლიუციონერები დინამიტის ყუმბარებს ხმარობენ; ამიტომ არის, რომ ოსმალები მიუხედავად იმისა, რომ რიცხვით დიდათ სჭარბობენ აჯანყებულებს, ხშირად მარცხდებიან და შეშინებულნი ომის ველიდან გარბიან. ვენის პოლიტიკურ წრეებში ეს ამბები არავის უკვირს, რადგან აქ დიდი ხანია იცოდნენ, რომ აჯანყებულებს დიდძალი დინამიტი წინდაწინვე ჰქონდათ დამზადებული.

◆ ეხლა მაკედონიაში და ადრიონოპოლის ვილაეტაში 150 ათასი ოსმალელი ჯარის კაცია; ბაშიბუზუკებიც უამრავია და ადგილობრივი მაჰმადიანებიც ხომ ბოლგარების წინააღმდეგნი არიან. პოლიცია ყოველგან გაძლიერებულია. არ არის არც სოფელი, არც ქალაქი, რომ ჯარი არ იდგეს. გარედანაც ყველა იმას არის მოწადინებული, რომ ბოლგარული ელემენტი დააწყნარონ და დაამშვიდონ. და მიუხედავათ ყველა ამისა, აჯანყებამ მაინც იფეთქა...

როცა ხალხი გადასწყვეტს იარაღის ხელის მოკიდებას და არსებულ მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებას, ეს სახუმარო საქმე არ არის. სადაც თვალსაჩინოდ და ცხადათ სიკვდილი დაჰქროლავს, იქ გარეგან გარემოებასა და გავლენას არ შეუძლია აჯანყების გამოწვევა. ოსმალეთის მთავრობის აზრი, ვითომ აჯანყება მომზადებული და გამოწვეულია მხოლოდ რევოლიუციონერ აგენტების მოქმედებითო, ყოვლად უსაბუთოა.

მთელმა ქვეყანამ, გარდა ოსმალეთისა, იცის ქრისტიანების მდგომარეობა აუტანელია; ყველამ იცის ისიც, რომ ოსმალეთის მთავრობას არ შეუძლია დაამყაროს მაკედონიაში წესი მიუხედავათ იმისა, რომ დიდ-ძალი გაწვრთნილი ჯარები ჰყავს..“

დასკვნა ბოლგარულ „დნევნიკ“-ის ამ მეთაურისა ცხადია—მაკედონიას ეშველება მხოლოდ მაშინ, როცა სრულებით მოიშორებს ოსმალეთის მძიმე უღელს.

ახალი ამბავი

◆ დღეს, 16 მარტს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გადახდილ იქმნება პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის ქართველ მგოსნის **გრიგოლ აბაშიძის** სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის დასაწყისი 11 საათზე.

◆ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ 14 მარტს დაადგინა დაბეჭდვინოს ერთ წიგნად ის მასალა, რაც **სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა პროგრამის** განხილვის დროს შეიკრიბა, და საზოგადოების მოხსენებასთან ერთად წარუდგინოს პეტერბურგში უმთავრესს კომიტეტს. მოხსენებას შეადგენს საზოგადოების მდივანი ბ-ნი ე. ო. იოსელიანი.

◆ ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის მოურავს დააჩქაროს სამინისტროს მოთხოვნილების შესრულება **სახელოსნო სასწავლებლის წესდების** შემუშავების შესახებ. ამასთან სთხოვა შეატყობინოს, შესაძლებლად მიაჩნია ქალაქს თუ არა ავლაბარში განზრახულ პროგიმნაზიის ნაცვლად დაარსდეს საშუალო სამრეწველო სასწავლებელი. ამისთვის პირველ ხანს ქალაქმა უნდა გაიღოს 150 ათასი მანეთი, ხოლო შემდეგ ყოველ წლივ 50 ათას მანეთამდე.

◆ აპრილის პირველ რიცხვებში კრება ექმნებათ საქართველოს ეპარქიის სასულიერო სასწავლებელთა ზედამხედველებს და მასწავლებლებს. კრებამ, სხვათა შორის, უნდა **გადაათვალიეროს ეხლანდელი პროგრამა** სასულიერო სასწავლებლებისა და თავისი მოხსენება წარუდგინოს მთავრობას. სცნეს, რომ ეხლანდელი პროგრამა არ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

◆ კარგა ხანია ლაპარაკი აღიძრა ტფილისში **საქალაქო ბანკის** დაარსების შესახებ. ეხლა საფინანსო კომისია უკვე შეუდგა ამ ბანკის პროექტის შემუშავებას. ამ გვარ ბანკის დაარსება არა ერთხელ განიზრახეს ტფილისში, მაგრამ საქმეს მსვლელობა ვერ მიეცა და ამიტომ ბანკი ვერ მოეწყო.

◆ მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის განკარგულებით გამოცემულ იქმნა ინსტრუქცია იმ დასების სახელმძღვანელოდ, რომელნიც მიწებსა მიჯნავენ **სახელმწიფო გლეხთა მოსაწყობად**. ამ ინსტრუქციით დასებმა ამ გაზაფხულიდან უნდა იხელმძღვანელონ.

◆ პეტერბურგში შემდგარ კომისიას, რომელსაც შავის ზღვის პირად მდებარე ადგილების მოწყობა აქვს დავალებული, განუხილავს შუამდგომლობა ელისეევისა და ფრეზესი. ამათ განუზრახავთ საავტომობილო მიმოსვლის მოწყობა **ნოვოროსიისკსა და სოხუმს შუა**. ამ აზრით აარსებენ ამხანაგობას, რომელსაც ძირის თანხად 6 მილიონი მანეთი ექმნება. კომისიას ეს შუამდგომლობა პრინციპიალურად მოუწონებია.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ მიიღო ხარკოვის გამგეობისაგან ერთი ცალი იმ სავალდებულო დადგენილებებისა, რომელიც **კვირა-უქმეობით გაჩერებას** შეეხება. ეს სავალდებულო დადგენილებანი ქალაქის გამგეობას უნდა მასალად გამოიყენოს ტფილისისათვის ასეთისავე სავალდებულო დადგენილებათა შემუშავების დროს.

◆ 19 მარტს, როდესაც ალექსანდრეს ბაღში აკურთხებენ რუსთა მწერლის **გოგოლის ძეგლს**, საქართველოს ეგზარხოსი ამ ბაღის პატარა ეკკლესიაში გადაიხდის პანაშვიდს გოგოლის სულის მოსახსენებლად. ძეგლის კურთხევას, სასულიერო მთავრობის განკარგულებით, დაესწრებიან სამრევლო სკოლებისა და სასწავლებლების მოსწავლენი.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას აზრადა აქვს დღესასწაულების დროს **მეტი საჩუქარი** მისცეს სადგურების მოსამსახურეთ, ვიდრე აქამდე აძლევდა.

◆ გუბერნატორს, როგორც გავიგეთ, აზრადა აქვს საბჭოს ის გადაწყვეტილება, რომლითაც არჩეულ იქმნა ქუჩების მომკირწვლელი კომისია, გადასცეს **ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს**.

◆ გუბერნატორმა მოსთხოვა ქალაქის მოურავს წარუდგინოს იმ რევიზიის ქაღალდები, რომელიც სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა და დირექტორების განკარგულებით **სახელოსნო სასწავლებელში მოხდა**.

◆ ჩრდილოეთ **ამერიკის შტატების** მთავრობა წელს კავკასიაში ჰგზავნის მიწათმოქმედების სამინისტროს მოხელეს ბ-ნ ბოსსეტს. ბოსსეტი შარშანაც იყო აქ და წაიღო ამერიკაში გასაშენებლად სხვა-და-სხვა მცენარის თესლეულობა. ეხლა ბოსსეტს თავის მამაც მოჰყავს, რომელიც ამერიკაში საცდელ მინდვრებს განაგებს და ცნობილი მეცნიერია. უნდა დაიარონ კავკასია და შეჰკრიბონ ცნობები სხვა-და-სხვა მცენარეულობის შესახებ. კავკასიის გარდა სხვა ადგილებსაც დაივლიან.

◆ 14 მარტს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ განიხილა განჯის გუბერნატორის თხოვნა **განჯაში სასოფლო-სამეურნეო იარაღისა** და საწყობის გამართვის შესახებ. საბჭომ დაადგინა, დაავალოს თავის წევრს ვ. ყიფიანს მოელაპარაკოს ამ საქმის გამო სამეურნეო საზოგადოების განჯის განყოფილებას და შეუდგეს განჯაში საწყობის გამართვას.

◆ დღეს, 16 მარტს, დანიშნულია **ტფ. სამეურნეო ბანკის** წევრთა წლიური კრება.

◆ გორის მაზრის უფროსი პავლოვი, როგორც „კავკ.“-ს დეპეშით ატყობინებენ, დაინიშნა **ზაქათალის ოლქის უფროსად**.

◆ ტფილისის ქალაქის **საბჭოს** ხვალინდელ სხდომაზე განსახილველად აქვს სულ 15 საქმე.

◆ ერთმა **ხარკოველმა** ფირმამ სთხოვა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას გაავრცელოს ხალხში კაპიტან ფონ-როზენბერგის სისტემის **სეტყვასთან საბრძოლველი მორტირები**. საბჭომ 14 მარტს გადასწყვიტა დაავალოს კავკასიის შინა-მრეწველობის კომიტეტის მდივანს ბ-ნ ფირალოვს სპეციალისტებთან ერთად შეისწავლოს როგორც როზენბერგისა, ისე სხვა სისტემის მორტირები და მოხსენება წარუდგინოს სამეურნეო საზოგადოების საბჭოს.

ფელეტონი

გახუნებულ აზნაურის წერილები

I

ვერაფერი სანახავი ვარ, როცა მამულის გადასახადის ფურცელს მივიღებ ხოლმე. ამ დროს სრულებით აღარა ვგევარ დიდებულ **ურარტელთა**, ანუ **ალაროდიელთა** დიდებულ ჩამომავალს. თავად მუხთალ ბედისაგან დაჩაგრული ვარ და მკერდი ჩავარდნილი მაქვს და ამ დროს ხომ უფრო ჩამეზნიქება ხოლმე, თავი უფრო ძირს დამეხრება შავის ფიქრებისაგან და თვალებში ისეთი პირუტყვული შიში, ისეთი უმწეობა მესახება, როგორიც არას დროს ახლოთ არ მიჰკარებიათ ჩემს მძლავრ, მოწინავე, ღირსეულ და მედგარ წინაპრებს, ურარტელ მეფეთა საბრძანებელში მცხოვრებთ. განა მარტო გადასახადის ფურცლის მიღების დროს ვგევარ ფრთა-ჩამოვარდნილ ქათამს!

მთელი ჩემი შინაური, აზნაურ-შვილური ცხოვრება რაღაა? სადღაც იქ, შორს, ჩემს სოროს გარედ ნამდვილი, გაშლილი და ნათელი ცხოვრება სდუღს და გადმოსდის; ამ ცხოვრების სიმღერა მომხიბლავი და თავისუფალი ტოროლას სიმღერასავით და გაბედული, როგორც არწივის ქროლა, ათასში ერთხელ მოესმის ხოლმე ყურს, მაგრამ ჩემის ცხოვრების სქელი და გაუვალი ზღუდეები და თავად-აზნაურთა წოდების კონსერვატიული ცრუ-მორწმუნოება და ჩვეულება აყრუებენ ამ სიმღერას. ხოლო მაღლიდან მაყურებელი ღმერთია მოწამე იმისი, თუ როგორ მწყურიან ცხოვრება, ნამდვილი გონიერი სიცოცხლე, ცოცხალი საქმე და ამ საქმის გასახარი ნაყოფი.

მართლაც და ძლიერ მომბეზრდა ეს წუწკი დასალონი ცხოვრება: მთელი ჩემი დღენი სულ ჩემ დაბრეცილ, გვერდზე წამოწოლილ ღობეს და გაბეჩხრებულ ვენახს შევყურებ და ჩემის უსაზღვრო სიღატაკის მეტს ვერასა ვხედავ; მთელის ჩემის სიცოცხლის განმავლობაში ეს ბეჩავობა და სიღატაკე საყვედურით მიმზერდა ჩემის საცხოვრებლის ყოველ კუთხიდან. განა კულტურის ნათელ სხივით განათებულ, გახარებულ და გამთბარ სიცოცხლის უფლება მე კი არა მაქვს? განა ამ სამარცხვინო სიცოცხლის მეტს სხვას არას უნდა ვეღირსო? მთელი კაცობრიობა სცხოვრობს, ჰფიქრობს, მუშაობს, შეჰხარის ცხოვრებას და სტკბება, მე კი ასე დაბეჩავებული, დაგლახავებული უნდა ვიყო და თითქმის ჩემის ხიზნების ულუფაზე უნდა ვსცხოვრობდე ყოველთვის?

რისთვის? თუ ევროპიელ კაცის კულტურის საფუძველს მშვიდობიანობისა და თანხმობის ნათელი და დიდებული პრინციპები შეადგენენ, რატომ ჩემს ცხოვრებას ესევე საფუძველი არ უნდა დაუდო და ეს პრინციპები იმაში მაინც როგორ ვერ უნდა გამოვიყენო, რომ ჩემსა და ჩემის მეზობლის სამფლობელოს შუა უცილობელი მიჯნა ჩავყარო? რა ღვთის წყრომაა, რომ მე და ჩემი მეზობელი ისე ვუყურებთ ერთმანერთს, როგორც მოსისხლე მტრები! ორიოდე გალეულ და გამხმარ ვაზის გულისათვის ხშირად ერთმანეთს დავეტაკებით და ვივიწყებთ, რომ დიდებულ ალაროდიელთა ჩამომავლობას ვეკუთვნით. ეს კიდევ რა სათქმელია, იმასაც კი ვივიწყებთ, რომ ორივე ადამიანები ვართ, ნათესაობასა და სიყვარულსაც იქით გადავაგდებთ ხოლმე და ერთმანერთს ყელებს ვღადრით.

ახლა თქვენ იკითხავთ: თუ მეზობელ-აზნაურს აგრე უყურებთ, იქნება სამაგიეროდ გლეხ-კაცს სულ სხვა-ნაირად ექცევით და როგორც უმაღლეს წოდების წარმომადგენელი, კეთილს მაგალითს აძლევთო?

საუბედუროდ, გლეხებთან უარესი განწყობილებაცა მაქვს. ჯერ ერთი ისა—პირდაპირ უნდა მოგახსენოთ,—რომ ამ ხალხს ძლიერ ნაკლებად ვიცნობ, იმისი სულის ვითარება, იმისი წმინდათა წმინდა ხომ სულ არ ვიცი. გლეხ-კაცის გაცნობას, იმასთან დაახლოვებას ყოველთვის, წინადაც და ეხლაც, ჩემი გულ-ზვიადობა და სულელური ამაყობა მიშლიდა. თუ არ მედიდურად, ან არა და დაცინვის კილოთი, სხვანაირად ლაპარაკი ვერც-კი მომიხერხებია ხალხთან, მაშინაც კი, როცა ეს ხალხი გაჭირვებიდან მიხსნის და ფულით ხელს მიმართავს ხოლმე. მადლობის ნიშნად, როგორც ნამდვილ კეთილშობილს კაცს ეკადრება, ჩემის საკუთარის ხელით ხან-და-ხან ერთ ჭიქა ღვინოს მივაწვდი და უფრო ხშირად კი მარტო მხარზე ხელს დავკრავ. გულში კი, როცა ჩემს თავს გულ-ახდით ვესაუბრები, ამ გლეხ-კაცს ჩემ თავზე ბევრად მაღლა ვაყენებ და გამოტეხით ვამბობ, რომ გლეხ-კაცს უფრო მეტი უფლება აქვს ხან-და-ხან მხარზე ხელი დამკრას ისეთისავე მედიდურობით...

მაგრამ როგორ შემიძლიან ასეთი ფიქრი ვისმე გულ-ახდით ხმა მაღლა გავუზიარო?! ესევე გლეხი ხშირად მაძლევს მშვენიერს გაკვეთილს იმისას, თუ როგორ უნდა მოეწყოს ადამიანთა ურთი-ერთობა. ჩემის კეთილშობილურ აივანიდან შამეძლო ბევრი რამ მესწავლა გლეხ-კაცისაგან, ჩემი თავი რომ სანაგვესავით სავსე არ იყოს ათასის ცრუ-მორწმუნოებით. გლეხ-კაცმა ცხოვრების მეცნიერება უფრო კარგად შეიგნო და ამ მეცნიერებაში ძლიერაც წინ გამისწრო. დიდი ხანია გლეხ-კაცი ადამიანთა მოქმედებას **ადამიანის ღირსების** საზომით ჰზომავს, მე კი ვერას გზით ვერ მომიხერხებია, აზნაურთა განსაკუთრებულ ღირსების დაბალ ღობეს გადავაბიჯო,—ადამიანის საზოგადო ღირსება ხომ ჩემთვის დღესაც გაუგებარია. საცოდავად ვტრიალებ ამ პატარა ვიწრო ბაკში მომწყვდეული, მთელის დანარჩენის ცოცხალის ქვეყნიერებისა, ცოცხალ ადამიანებისა და აზრებისაგან მოწყვეტილი, გულსაკლავად ვფანცქალებ, მაგრამ ვერა ნაირად ვერ მომიხერხებია ამ საძაგელ ბაკიდან თავის დახწევა. როცა კი ჩემ ტოლებში,—**გვარიშვილობით** ტოლებში რასაკვირველია,—აბდა-უბდა, გამოურკვეველ ლაპარაკს მოჰყვებიან ხალხის შველაზე, მეც სხვასავით მაღალ ორჩოფეხაზე შევსდგები ხოლმე და ყოველ ნაირ სასაცილო და გადარეულ ღონისძიებას ვიგონებ, რომ როგორმე ეშველოს იმ ხალხს, რომელმაც თავისი შინაური წესები დიდებულის სიმარტივით მოაწყო და ქრისტეს მცნება და **ადამიანის** ღირსება ასე მშვენივრად შეიგნო.

მახსოვს, ერთხელ მეზობელ მებატონესთან შევეყარენით, რომ ხალხისათვის გვეშველა რამე. ისე ვლაპარაკობდით ხალხზე, როგორც უცნობ რამეზე, თანაც ისეთის კი-

✦ ტფილისის საგუბერნიო გამგეობას გადაუწყვეტია, იმ შუამდგომლობათა განხილვა, რომლითაც გლეხთა ცოლები ცალკე საცხოვრებლად **პასპორტებს თხოულობენ**, მიენდოს მაზრის უფროსებს. ამ უფროსებმა, როგორც „ნოვ. ობ.“-ს გაუგია, უნდა შეკრიბონ ყოველგვარი ცნობები მთხოვნელთა შესახებ და შემდეგ მისცენ **პასპორტები**.

✦ დღეისთვის დანიშნულია **კრება** დედათა მესამე გიმნაზიის შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებისა. კრებამ უნდა განიხილოს ანგარიში და ხარჯთ-აღრიცხვა და აარჩიოს თანამდებობის კაცნი. კრება მოხდება გიმნაზიის შენობაში პირველ საათზე.

✦ როგორც გავიგეთ, მიწათ-მოქმედების სამინისტრო მაისს ტფილისის საბოტანიკო ბაღის დირექტორს ბ-ნს როლლოვს **საზღვარ-გარედ ჰგზავნის** იქაურ ბაღების დასათვალიერებლად და შესასწავლად.

✦ ხვალ, 17 მარტს, მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებული ბ-ნი **მედვედევი ბორჯომს** მიდის.

✦ გუბერნატორმა დაამტკიცა საბჭოს გადაწყვეტილება იმ კომისიის წევრთა არჩევის შესახებ, რომელმაც ცეცხლის საქრობ რაზმისათვის შენობა უნდა აგოს.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობის დადგენილებით გამგეობის წევრს კოკნაევს და ხმ. ბუდაღოვს დაევალათ გამორკვევა იმ ბოროტ-მოქმედებისა, რომელიც ჩაიდინა მწერალმა სტაფეევმა. იგი სატრაქტირო მოწმობების გაცემის დროს მეტ მარკას იღებდა თურმე. კოკნაევმა უკვე შეიტანა მოხსენება საბჭოში წარსადგენად.

✦ ღამის მეორე თავშესაფარში ამ ჟამად 12 ავადმყოფი-დაა. გადამდებ სენით არავინ არის ავად.

✦ გუშინ, წინ 14 მარტს, ვიღაც ქურდები დაეცნენ, მიხეილის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, მექანდაკეს ანდრიოლეტის. საღამოს რვა საათზე ოთახში, სადაც ანდრიოლეტი ცოლ-შვილით იყო, შევარდა ხუთი შეიარაღებული კაცი და ხანჯლებითა და რევოლვერებით მოსთხოვა ფული სახლის პატრონს. ხუთსავე სახე ყაბალახებითა ჰქონდა შეხვეული. შეშინებულ სახლის პატრონს ჯიბეში 25 მანეთი ჰქონია, ამოუღია და მიუცია, მაგრამ იმათ კიდევ მოუთხოვნიათ. ამ დროს გარედ გავარდნილა და ანდრიოლეტისა და ყვირილი დაუწყია. ბოროტ-გამზრახველნი ხმაურობაზე გამოვარდნილან, გარედან კარება ჩაუკეტნიათ და დამალულან. ბოროტ-გამზრახველნი ვერ აღმოაჩინეს.

✦ 15 მარტს მოხდა მეეტლეთა სტაროსტის არჩევანები. აარჩიეს ძველი სტაროსტა ლოსკუტოვი.

✦ 12 მარტს ლიუბლინის გუბერნიის მცხოვრებს ივანე კლიმსკის პოლიციაში გამოუცხადებია, რომ ჩემი სახლი და საკუჭნაო გაუტეხია ვილაც ბოროტ-განმზრახველს და გაუტანია 2 ოქროს ბრილიანტიანი ბეჭედი, 330 მან. ღირებული, ქალის ოქროს საათი 30 მან. ღირებული, გულზე ჩამოსაკიდებელი ოქროს ნივთი, 24 ვერცხლის კოვზი, სამი ბეჭედი ოქროსი და სხვა ნივთები, სულ 554 მანეთისაო.

✦ გუშინ პოლიციის მე-7 ნაწილის ბოქაულმა მისწერა ქალაქის გამგეობას გაჰგზავნოს ტეხნიკოსი გიორგი ხანაგოვის სახლის შესამოწმებლად. ეს სახლი ძალიან დაძველებულია თურმე.

✦ პოლიციის პირველ ნაწილში მცხოვრებ ნიზარბეგ სულთანოვის სახლიდან, შინ არ ყოფნის დროს, ვილაც ბოროტ-განმზრახველებს გაუტანიათ 180 მან. ნივთები. ეჭვი მიიტანეს სულთანოვის მოსამსახურეზე, ვლადიმერ ფარზამოვზე, რომელიც დააპატიმრეს.

✦ ვილაც ბოროტ-განმზრახველს ევგენიევის ქუჩაზე გაუტეხია სერგო ოჰანეზოვის სახლი და გაუტანია 179 მან. ნივთები.

✦ პოლიციის მე-6 ნაწილში, ბერძნების ქუჩაზე მოხოვრებ დარჩო ხეჩუაშვილის სახლი გაუტეხიათ და გაუტანიათ 15 მან. ნივთები. ქურდები ჯერჯერობით ვერ აღმოაჩინეს.

რუსეთის ქრონიკა

✦ სამხატვრო აკადემიამ დაადგინა ყოველ წელიწადს ჰგზავნოს რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილას მცოდნე კაცები ძველ ნაშთთა გამოსაკვლევად და გადასახატად. სხვათა შორის, კაცებს კავკასიაშიაც გამოჰგზავნიან.

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან არსებულმა სასოფლო-სამეურნეო საბჭომ უკვე დაიწყო მუშაობა. განსახილველ საქმეთა სიაში ერთი მეტად საყურადღებო საგანია მოქცეული. იგი შეეხება სოფლელ მუშებს და იმათ დაცვას სხვა-და-სხვა უბედურ შემთხვევათაგან. ამ საგნის შესახებ თვით სამინისტრომ წარუდგინა საბჭომ მოხსენება. სამინისტრო საჭიროდა სცნობს: 1) დაწესდეს რეგისტრაცია იმ უბედურ შემთხვევებისა, რომელიც ხშირად სოფლად ხდება სასოფლო-სამეურნეო იარაღის ხმარების დროს; ეს საქმე უნდა მიენდოს სადაც ერობაა—ექიმებს, სადაც არ არის—გუბერნიის სამკურნალო გამგეობას; 2) გააცნონ საერობო დაწესებულებებს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებს და, თუ შეიძლება, სოფლის მეურნეთაც ის საშუალებანი, რომელთა მეოხებითაც შეიძლება უბედურებათა თავიდან აცილება; 3) დაევალოს სასოფლო-სამეურნეო იარაღების მკეთებელ ქარხნებს იარაღს თან გააყოლონ ხოლმე ის მარტივი მოწყობილებანი, რომლითაც უბედურების აცდენა შეიძლება; 4) დაევალოს ერობებს შეადგინონ სავალდებულო დადგენილებანი უბედურებას ასაცდენ მოწყობილებათა შესახებ; თუ საჭიროა, ერობებმავე უნდა შეადგინონ სავალდებულო დადგენილებანი იმ პირობათა შესახებ, რა პირობებშიაც მუშაობა უნდა სწარმოებდეს.

✦ როგორც „ფინლ. გაზეთი“ გადმოგვცემს, გამოცხადებულ იქმნა ადგილობრივ სენატის გადაწყვეტილება ინჟენერის აეპისა, ხუროთმოძღვართ სონკისა და ანდერსინისა, სამსახურს გარეშე მყოფ შტაბს-კაპიტანის ბიოდოსა და ფილოსოფიის მაგისტრის მალმსტრემის საქმის გამო. ამ ოთხ კაცს ჰბრალდებოდა უწესოების მოხდენა ჰელსინგფორსში 1901 წელს, 18 თებერვალს. სენატმა გადაუწყვიტა ჯარიმის გადახდა: აეპსა და სონკას თითოს 400 მარკისა, ანდერსინს—300 მარკისა, ბიოდოს—250 მარკისა და მალმსტრემს—360 მარკისა. იმავე ფინლიანდიაში სასამართლომ განიხილა საქმე მეორე უწესოებისა, რომელიც შარშან მოხდა, დერეხელს. სასამართლომ ჯარიმის გადახდა გადაუწყვიტა მუშებს: ორს თითოს 30 მარკისა, ერთს—35, ორს—50, ერთს—40 და ერთსაც 105 მარკისა. ამ ბრალდებულთ უწესოებასთან ერთად პოლიციისათვის წინააღმდეგობაც გაუწევიათ.

✦ ვარშავაში ერთ დამზღვევ საზოგადოებას გადაუწყვეტია მიიღოს სეტყვისაგან დასაზღვევად ხე-ხილის ბაღები და ბოსტნები.

✦ მოსკოვში არსებობს ხელოსანთა ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოება. ამ საზოგადოებას გადაუწყვეტია გამართოს მოსკოვში ხელოსანთა ნაწარმოების მუდმივი გამოფენა და საწყობი. გამოფენა და საწყობი იმ აზრით არსდება, რომ შეიძინოს და გაჰყიდოს, საზოგადოლ ბაზარი მოუპოვოს თავიანთ წევრთა ნაწარმოებებს. საზოგადოებას აზრადა აქვს ასეთი საწყობები რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქებშიაც გამართოს.

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტროს შეუმუშავებია წვრილ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა ნორმალური წესდება. საქმის გასაადვილებლად, სამინისტროს აზრადა აქვს ასეთ ამხანაგობათა დაარსების ნება-რთვა გუბერნატორებს მიენიჭოთ.

✦ „ვესტ. კაზ. ვოისკ“-ს თუ დაუჯერებთ, ბატონ-ყმობა და ხალხის გაყიდვა ჯერ კიდევ არ გადავარდნილა ციმბირში, იმიერ-ბაიკალის მხარეს. ამ მხარეს ყაზახთა სტანიცებია. როგორც ვუწყით, ჯარში გაწვევის დროს სტანიცამ გაწვეულნი უნდა შემოსოს, ჩააცვას, დახუროს და ცხენიც უყიდოს. ყველა ამისთვის საჭიროა 250 მანეთი. ერთი სტანიცა ღარიბი ყოფილა. რადგან ფულს ვერსად შოულობს გაწვეულთა შესამოსად, იგი „ჰყიდის“ თურმე ამ გაწვეულთ, ე. ი. ახლად გაწვეული სამხედრო სამსახურის გათავების შემდეგ რამდენსამე წელიწადს უნდა ემსახუროს იმას, ვინც სტანიცას 250 მანეთს გადაუხდის. ეს არის გაყიდვა. რომ არ ემსახუროს მყიდველსაო, უკითხნია სტანიცის ატამანისთვის ამ წერილის ავტორს.—მაგას კი ვერ იქს, უთქვამს იმასაც, ჩვენ, სოფელი, ძალად ვამსახურებინებთ რამდენ წელიწადსაც გვინდაო.

თეატრი

დღეისათვის ქართულ თეატრში საინტერესო წარმოდგენაა დანიშნული. ქართველ არტისტთა ამხანაგობა, ს. სვიმონიძის საბენეფისოდ, სდგამს ახალ ისტორიულ პიესას „მურად-ფაშა“ ს. მონაწილეობას იღებენ ქ-ნი გაბუნია-ცაგარელისა, თვით მობენეფისე, გედევანოვი, გუნია, შათირიშვილი და სხვანი

დღეს, 16 მარტს, „ტფილისის სობრანიეში“ ყაზბეგის სკოლის სასარგებლოდ გაიმართება ქართულ-რუსული წარმოდგენა და კონცერტი. წარმოდგენაში სცენის მოყვარენი იღებენ მონაწილეობას.

ორიოდე სიტყვა მეაბრეშუმეთ

მიმდინარე წლის მეაბრეშუმეობისათვის ამიერ-კავკასიაში ძლიერ ცოტა გრენაა შემოტანილი. წარსულ წლებში მარტო უცხოეთიდან—ოსმალეთისა, საფრანგეთისა და იტალიიდან 250,000 კოლოფზე მეტი გრენი შემოჰქონდათ ბათუმის გამოვლით; ამას ადგილობრივ დამზადებულ 45—50,000 კოლოფ გრენასაც თუ დავუმატებთ, გამოვა, რომ წარსულ წლებში ბაზარზე იყო გასასყიდად 300,000 კოლოფი ან 1,800,000 მისხალი გრენი. ამ რაოდენობიდან მეაბრეშუმენი იძენდნენ მარტო 200,000—250,000 კოლ. და მოჰყავდათ 400,000 ფუთამდე ნედლი პარკი 6-7 მილიონ მანეთისა. რადგანაც ბაზარში აუარებელი თესლი იყო, მეაბრეშუმე სცდილობდა შეეძინა ნაღდის ფასად იმდენი კოლოფი გრენი, რამდენისათვისაც არც საჭირო სახლი ჰქონდა სათუთე და არც თუთის (ბჟოლის) ფოთოლი. რა ცუდი შედეგიც მოჰყვა მეაბრეშუმეების ასეთ მოქმედებას, კარგად იცის ყოველმა მეაბრეშუმემ; მხოლოდ ჩვენ ერთხელ კიდევ ვურჩევთ მათ, თავის დროზე (იანვარსა, თებერვალსა და მარტში) შეიძინონ იმდენი გრენი (შემოწმებული), რამდენისათვისაც აქვთ სათუთე საჭირო სახლი და თუთის ფოთოლი.

სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ წლებში ჩვენ მეაბრეშუმეებს თითქო ჩვეულებად გადაექცათ არ შეიძინონ გრენი იმ დრომდე (აპრილის დამდეგამდე), ვიდრე გრენი გაცოცხლებას არ დაიწყებს, და გრენით-ვაჭრები იძულებულნი არ გახდებიან ნაღდის ფასად გასცენ იგი ან და სრულებით გადაჰყარონ. ამნაირ პირობებში შეძენილი გრენი არასოდეს არ მისცემს მეაბრეშუმეს პარკის კარგს მოსავალს და ბოლოს მთელ წარმოებაში მოგების და სიხარულის მაგივრად წაგებასა და მწუხარებას ჰპოულობს. თავის ასეთს წინდაუხედაობას და შეცდომას მეაბრეშუმე ხმა-

---

ლოთი ვლაპარაკობდით, რომ ცხადი იყო, ეს ხალხი მაინც და მაინც გულში არ გვეჯდა. სხვა-და-სხვა ღონისძიებას ვურჩევდით ერთმანეთს, მაგრამ ჩვენ თითონვე გამორკვეული არა გვქონდა ხალხის საჭიროება... ლაპარაკი ხშირად ანეკდოტებსა და მებატონეთა საყვარელ ტემებზე გადადიოდა: ჭამა-სმასა და გემრიელ საჭმელებზე. მაშინ კი ყველანი ცოცხლდებოდნენ, ალტაცებაში მოდიოდნენ და ხალხს საბოლოოდ ივიწყებდნენ.

ეს ხალხი კი დაბლა, სოფელში კალოებზე პურს ანიავებდა, ხან-და-ხან მუშაობას შეაყენებდა და მზის ოქროს ფერ მტვრით სავსე სახეს ჩვენკე მოიბრუნებდა და სცდილობდა, ჩვენის სასოფლო-სამეურნეო საუბრიდან თითო-ოროლა სიტყვისათვის ყური მოეკრა; მერე ხელ ახლად ნიჩაბს იღებდა, ხელ-მეორედ ჩვეულის, ლამაზის, თავისუფალის და ძლიერის ხელის მოძრაობით გაუნიავებელ პურს მაღლა ისროდა და ჰაერის ზვირთებში მზის ოქროსფერ ნაწილებს ჩვენს მხარეზე სტყორცნიდა. ქარს ხან-და-ხან ოქროს მტვერი ჩვენამდე მოჰქონდა და ჩვენს ტანისამოსს აყრიდა. მაშინვე გლეხკაცის უმადურობაზე ჩამოვაგდებდით ლაპარაკს: ჩვენ იმისათვის ვზრუნავთ, თავს ვიწუხებთ და ის კი მარტო ჩვენს წყენასა ჰფიქრობსო.

ადრე სოფელში ხმა მოვიდა, ეგრედ წოდებული სახალხო კითხვები იმართება ჯადოფარნითაო. ჩვენც, როგორც მოწინავე წოდებამ, რაღა თქმა უნდა, მაშინვე ხელზე დავიხვიეთ ეს საქმე, რომ ხალხისათვის გულშემატკივრობა გამოგვეჩინა. ხელ-მეორედ შევიკრიბენით, გავიხსენეთ რაც კი ამ საგანზე შემთხვევით წაგვეკითხნა და ამ მასალიდან ის ამოვარჩიეთ, რაც ჩვენის აზრით გლეხ-კაცს სულიერ საზრდოდ გამოადგებოდა. ერთი ძველი ჩარდახი ვიპოვნეთ, რაღაცა ფარანიც ვიშოვეთ ზულუსების მეფის ცეტივაიოს და ბუხარის ემირის სურათებით; ჩარდახში თორმეტიოდე გძელი ხის სკამი დავდგით და განცხადებაც გავაკარით: ვსთხოვთ მებატონეებს გაისარჯნენ და უკან დადგნენ, სკამებზე არ დაბძანდნენ, რადგან ეს სკამები გლეხებისთვისაა დანიშნულიო.

საუბედუროდ ხალხი არ მოვიდა ჩვენ ჩარდახში. თავებს ვიმტვრევდით, მაგრამ მაინც ვერ გავიგეთ, თუ რისთვის არ მოდიოდა ხალხი, როდესაც... პირით ხმა-მაღლა საჯაროდ გამოვუცხადეთ, რომ დღეს სახალხო კითხვა იქნება გამართულიო.

— აბა, მოდი და იზრუნე გლეხ-კაცისათვის!—გულ-აშფოთებულნი ვამბობდით და დანიშნულ დღეს აღელვებულნი უცქეროდით თეთრს ზეწარს ხის ჩარჩოზე დაკიდებულს, ხალხის გონების გასანათლებლად და სასარგებლოდა.

— აკი სულ მუდამ გეუბნებოდით, რომ ხალხი ჯერ მომზადებული არაა ფანრისათვის!—ამბობდა მებატონე-კნეინა.

უნდა იცოდეთ, რომ ამ კნეინამ ხალხისათვის თავისი ტილოს ზეწარიც კი არ დაიშურა, მერე რა ზეწარი: ერთ კუთხეში თავადური გვირგვინი ჰქონდა გამოქარგული!

დიახ, ხალხი არ მოდიოდა! სამი ცხენოსანი ვაფრინეთ კერპის ხალხის დასაჭერად და მოსაყვანად. შარა-გზაზე, მინდვრებში, თუ კალოებზე, ერთის სიტყვით, სადაც უნდა შეჰხვედროდნენ, ყველგან იჭერდნენ გლეხ-კაცს. გინდ სამუშაოდან შინ მიდენილიყო შესასვენებლად, მაინც იჭერდნენ და ჩარდახში მოჰყავნდათ.

— გაგვიშვით! თავი დაგვანებეთ!—ერთხმად ჰყვიროდნენ გლეხ-კაცნი.

— არ შეიძლება, ჩემო კარგო, ეს შენთვისვე იმართება... მოდი!

— გამიშვით, თქვენი ჭირიმე, დაღლილი ვარ, შესვენება მინდა!

— დალალვა რა პასუხია! მოდი ულაპარაკოთ, თორემ ბატონსა და ქალბატონს ეწყინებათ!

— ეს რაღა უბედურებაა! ხვნეშით ამბობდა გლეხ-კაცი და ძალა-უნებურად ჩარდახში მიდიოდა.

ჩარდახში გლეხ-კაცი პირველ სკამზე დასვეს და უბრძანეს, რომ ზეწრისათვის ეცქირა: ზეწარს რიღაცისთვის წყლით ასველებდნენ. გლეხები ცუდ გუნებაზე იყვნენ: ცალკე დაღალულები იყვნენ, ცალკე კიდევ ჯდომისა სცხვენოდათ, რადგან იმათ უკან მებატონეები და იმათი მანდილოსნები ფეხზე იდგნენ და როგორღაც ნამალადევის ალერსით შესცინოდნენ გლეხებს, როგორც დღევანდელ დღის გმირებს. ნეტა, წყალს რისთვის ასხამდნენ ზეწარს?

ბოლოს თეთრ ტილოზე უშველებელი სურათი გამოჩნდა უშველებელის ჩალმით; გლეხ-კაცმა შეხედა ამ სულელურ სურათს და უფრო მოიწყინა.

კიდევ თავისებურად იტყოდა: „გამიშვით, ღვთის გულისათვისაო“, მაგრამ თავად-აზნაურთა რიდითა და პატივის-ცემით ვერა ჰბედავდა ამის თქმას. მერე ხალხს ამერიკის განთქმულ კაცების ამბავიც უამბეს. გლეხ-კაცმა, თითქო სიზმარში იყოსო, ყური მოჰკრა ორიოდე სიტყვას და გაიგო, რომ ამერიკელებს რაღაც, გლეხ-კაცისათვის გაუგებარი და გამოუსადეგარი, მრავალი მოწყობილობა და იარაღი მოუგონიათო.

— გამიშვით! ამბობდა გულში გლეხი, რადგან ძლიერ დაქანცული იყო და მთელი ტანი და ხელ-ფეხი სტკიოდა.

მაგრამ ვინ გაუშვებს? პროგრამის თანახმად ეხლა ზეწარზე ტრიალებენ რაღაცნაირი ჭრელი სურათები, რომლებიც უამისოდაც დაქანცულ გლეხ-კაცის გონებას უარესად ჰღლიან.

მოდი, ამის შემდეგ და უშველე გლეხკაცს! ჩვენ-კი არაფერს არ ვერიდებით და მედგრად, კერპულად ვზრუნავთ და თავს ვიწუხებთ ხალხისათვის. ერთმა ჩემმა მეზობელმა უშველებელი გრამოფონიც-კი გამოიწერა, თავის სახლის აივანზე დადგა და საღამოობით ხალხის მუსიკალურ ყურთა სმენის და გემოვნების განსავითარებლად მოჰმართავს ხოლმე. გრამოფონის ბრჭყვიალა პირიდან ხან ქ-ნ ვიალცევის რომანსები მოისმის, ხან „სონაბაჯის“ ღრიალი. აქ კი საჭირო აღარაა მამასახლისისა და... დახმარება; ხალხი ძალაუნებურად ისმენს ამ გაუგებარს ღმუილს.

ასე ვშველოდით ხალხს სოფელში, როდესაც გაზეთებიდან გავიგეთ, რომ ტფილისში, ისე როგორც მთელ რუსეთში, მცოდნე ხალხი შეიკრიბება და მოილაპარაკებენ, თუ როგორ უშველონ სოფლის გაჭირებასაო.

მეც ჩემის მამა-პაპურ სახლის კარები და ფანჯრები ავფიცრე, მეტივე შაქროსგან საგზაო ფული ვისესხე და ტფილისს გამოვეშურე...

ლ. ჟ.

რად გრენის დამზადებელ ფირმებს აწერს— გრენი სადი და კარგად შემოწმებული არ იყო, თორემ კარგი მოსავალი მომივიდოდა და სხვ... ის კი ავიწყდება, რომ გრენი სუფიერია და მას ცუდი მოვლა და ჭკვრის გამოცვლა და სხვა ისევე ავნებს, როგორც ყოველ ცხოველს. როგორ უნდა იხეიროს თუნდ შემოწმებულ გრენიდან გამოჩეკილმა ჭიამ, რომელსაც მთელის თვეობით დაათრევენ სიცივე-სიცხეში ხურჯინებით?! ვინ გინდა, რომ არ ჰყიდდეს გრენას: მეწქმე, ხარაზი, მეთევზე, მემარილე, მეშურე და სხვა. ჩვენ არა ერთხელ გვირჩევიათ მეაბრეშუმეთ, რომ შეიძინონ შემოწმებული გრენი მხოლოდ სანდო ფირმებისა და ამხანაგობისა და სხვა დაწესებულებათა დახმარებით. მაგრამ, სამწუხაროდ, მეაბრეშუმეები თავისას არ იშლიან და ვიდრე გრენი ბაზრის ნარჩენებს არ ჩაუვარდებათ და ნაღის ფასად არ გახდება, მანამდის არ ღებულობენ. „პური მეპურეს გამოაცხობინე და ერთი მიწისა ნუ გშურსო“, იმისა არ იყოს, თუკი მეაბრეშუმე დარწმუნებულია, რომ გრენი სადია და შემოწმებულია, სანდო ფირმისაა, მან არ უნდა დაიშუროს 2—3 მანეთი 6—7 მისხლის კოლოფზე, და არ უნდა უცადოს იმ დროს, სანამდი 20—25 კაპ. გახდებოდეს. უფრო გამოცდილი მეაბრეშუმე უცხოეთში (საიდანაც გამოაქვთ ჩვენთვის გრენი) ერთ კოლოფ სად გრენაში 5—6 მანეთს იხდის.

დასასრულ, მეაბრეშუმეების ყურადღებას მივაქცევთ შემდეგს: 1) წლევანდელ ადებ-მიცემობა გრენისა სრულებით განსხვავდება წარსულ წლების ადებ-მიცემობისაგან, რადგანაც წელს ამიერ-კავკასიაში შემოტანილ გრენას მიეცა კიდევ ახალი ბაზარი—სპარსეთი, სადაც უმალ არ გაჰქონდათ გრენა იმ მიზეზით, რომ თითოეულ კოლოფზე ახდევინებდნენ 30 კაპ. ბაჟს; წელს ეს ბაჟი მთავრობამ მოხსნა. 2) ადგილობრივ ბაზრებზე გრენის რაოდენობა ისე ცოტაა, რომ ფასები ყოველ დღე მატულობს და თუ წინად აპრილის დამდეგს ჩვენი მეაბრეშუმე ნაღის ფასად შოულობდა გრენას, წელს შესაძლოა მოხდეს „შეიღის“ ფასადაც ვერ იშოვოს... 3) რადგანაც გრენის ფასები თან-და-თან მატულობს, ბაზარში გამოაქვთ უვარგისი, გაურჩეველი გრენი და დაკლებულ ფასებში ჰყიდიან. 4) მეაბრეშუმენი რომ ჩარჩებს, რომელთაც ამ ჟამად შეადგინეს ამხანაგობა, არ ჩაუვარდნენ ხელში, ვურჩევთ გრენა შეიძინონ მცოდნე კაცთა, დაწესებულებათა და ამხანაგობათა დახმარება-საშუალებით. 5) კავკასიის საბრეშუმო სადგურმა წელს დაუთმო სოფლელებს მისხალი გრენი 40 კაპეიკად 60 კ. მაგივრად; კოლოფი (6 მისხ.) 2 მან. 40 კაპ. სადგური ფასდადებით არა ჰგზავნის გრენას.

იოსებ ქუთათელაძე.

წერილი ქვემო იმერეთიდან

მეაბრეშუმეთა გაჭირვება

ქვემო იმერეთის სოფლებში მეაბრეშუმეობამ პირველ ხანს ძალიან მოიკიდა ფეხი, მაგრამ ამ ბოლოს დროს თანდათან დაქვეითდა. მიზეზი, ჩემის აზრით, უნდა იყოს უთესლობა, უკეთ რომ ვსთქვათ, ვაჭრების მიერ უვარგის აბრეშუმის თესლის გასაღება. როცა სოფლელი გლეხი აბრეშუმის თესლს იძენს, ბევრი მიწის დამუშავებას თავს ანებებს და ამბობს: „არ გადავაკვდები სანახევროდ სხვისა მიწის მუშაობასო“ და იწყებს მეაბრეშუმეობას, სჭრის ბოლოებს, ანადგურებს მაღლარს, რადგან ჩვენში ხშირად ბოლის ხეზედ ვიცით მაღლარ ვენახის გაშვება, აჭრის სამჭახს, კაბისტონს, ჰალადასტურს, რომელიც ჯერ-ჯერობით კიდევ იძლევა ცოტაოდენ ღვინოს და რომლითაც ოჯახი ისტუმრებს სტუმარ-მასპინძელს. თითონ სასიმინდის ქვეშ ბინავდება, ხოლო სახლ-სადგომს ჭიას უთმობს. ერთის სიტყვით, ამაზეა მთელი ოჯახი გადაგებული. ჭიასაც ხშირად რიგიანი პირი უჩანს და საჭმელს კარგად. „მატარებ კიდო გეფიჭივრო და გამოვალთ სიღარიბეში“-ო, ამბობენ, მაგრამ ბედი მუხთლობს, ცახზე ასვლის დროს ჭია ეყითლდება და ყველა ძირს ცვივა, ამასთან ერთად გლეხის ოჯახიც გარდება სიღარიბეში... აი, ამან დააშინა ჩვენი მეაბრეშუმეები. გულის ცემით უცქერის მებრეშუმე მეთესლეს და ვერ გაუბედნია ყიდვა თესლისა. იყიდოს—ვაი თუ დაღუპოს ოჯახი, არ იყიდოს და—როგორ დაიკლოს წლის მოსავალი, რა უყოს ათასგვარ გაჭირვებას? ორ ცეცხლ შუა და იმედის მომცემი არაფერი ჰყავს. არსებობს რამდენიმე ამხანაგობა, მაგრამ იმათ არ ეხერხებათ სოფლად თითოეულ კოლოფის თესლის გაყიდვა. თუ გაჰყიდიან, ბლომ-ბლომად. კარგი იქმნება, ამხანაგობანი ამ საქმეს თუ როგორმე მოუვლიან და სოფლელთ დაეხმარებიან. წლევანდელი ზამთარი მეტად ჭინვიანი იყო და თუ კარგად არ ჰქონდათ შენახული თესლი ვაჭრებს, საქმე ცუდად წავა. მეთესლეებს არავითარი შესანახი არა აქვთ მოწყობილი და ხშირად ცივ სარდაფშიაც ჩაჰყრიან ხოლმე ქოთნებს, რომ არ გამოვიდეს

ყორანი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 მარტი.

პეტერბურგი. მთავრობის წარმომადგენლებად საერთაშორისო კონგრესებზე დაინიშნენ: ფიშერ ფონ-ვალდჰეიმი და კერნი, რომში მიწათ-მოქმედების კონგრესზე და მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი პრიანიშნიკოვი, ბერლინში ხიმიის კონგრესზე.

სოფია. მთავრობამ შეიწყნარა სამინისტროს თხოვნა სამსახურიდან გადადგომის შესახებ.

მიტროვიცი (დალმაციაში). დილის მეხუთე საათზე აქ მიწის ძვრა იყო 5 წამის განმავლობაში.

ლიუქსემბურგი. სამის დღის კამათის შემდეგ დეპუტატთა პალატამ მიიღო წინადადება, დაცულ იქნას გერმანიასთან აჩსებული სარკინიგზო-სატარიფო კავშირი.

ბერლინი. ცხენით სეირნობის დროს გრიუნვალდში დედოფალი ცხენიდან გადმოვარდა და ცოტათი ხელი იტკინა.

ათინა. ხმა გავრცელდა, რომ მეფემ, თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობის გამო, კოპენჰაგენში მოგზაურობა დროებით გადასდო.

ლარისაში პოლიციამ დაატუსაღა მაკედონელთა ვოლონტერები, რომელთაც განზრახვა ჰქონდათ საზღვარზე გადასულიყვნენ. თესსალიის ბევრ ქალაქიდან იტყობინებიან, რომ საკმაო პირნი ცდილობენ საზღვარზე გადასვლას. საზღვრის დაცვა გაძლიერებულია.

ბელგრადი. დუნაის საბუქსირო გემით მოიტანეს ექვსი მილიონი პატრონი; ეს პირველი ნაწილია იმ პატრონებისა, რომელიც შეუკვეთეს ხირტენბერგის ფაბრიკას.

ჰააგა. რადგან გარემოებამ მოითხოვა 1900 და 1901 წლების სათადარიგო ჯარის-კაცთა მოწვევა და რადგან ახლო მომავალში მათი დათხოვნა არ შეიძლება, მთავრობამ დაადგინა იყოლიოს ისინი ჯარში, სანამ ამას სასარგებლოდ სცნობს.

მადრიდი. 13 მარტს, მეფის თავმჯდომარეობით, მოჰხდა სამინისტროს სხდომა, რომელზედაც მხედრობის შესანახ ხარჯად დამტკიცდა 153.000.000 პესეტი, ხოლო ჯარის რაოდენობა უნდა უდრიდეს 100.000 კაცს.

მეფემ ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლითაც ორივე პალატა დათხოვნილ იქმნა. ორივე პალატა შეიკრიბება 5 მაისს არჩევნების შემდეგ.

ბელოსტოკი. რადგან აქ საერობო უფროსთა ინსტიტუტს აწესებენ, საბჭომ ერთხმად დაადგინა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ დატოვებულ იქმნას ბელოსტოკში მომრიგებელ-მოსამართლეთა დაწესებულება.

ხარკოვი. სამოსამართლო პალატამ გაამართლა ხარკოვის საბჭოს ხმოსნად ყოფილი ტვერდოხლებოვი, რომელსაც წყალსადენის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ცილისწამებას უწოდა.

ყარსი. გადაიცვალა კაზაკთა დივიზიის უფროსი გენერალ-ლეიტ. იაგოდინი.

15 მარტი.

კონსტანტინოპოლი. სულთანმა სიცოცხლე მიანიჭა ხაჩიკიანს, რომელსაც სიკვდილი მიუსაჯეს სომხეთა პატრიარქ ორმანიანის მოკვლის განზრახვისათვის.

ბერლინი. „ლოკ. ანცაიგ.“ გვაუწყებს, რომ იმპერატრიცა გრუნევალდში სეირნობის დროს ცხენიდან გადმოვარდა და ხელი დაუშავდა. მისი უდიდებულესობა გრუნევალდის სანადირო ციხე-დარბაზში დააწვინეს. ბერლინიდან მკურნალი გამოიძახეს.

ბერლინი. „ტაიმს“-ის ტანჟერიდან მოსულ ცნობებით, მაროკკოს სულთანმა ინგლისისგან ისესხა, როგორც ხმები დადის, 300,000 გირვანქა სტერლინგი.

ბერლინი. წინააღმდეგ „ბერლინ. ტაგბლ.“-ის ცნობებისა იმის შესახებ, რომ გერმანიის ელჩი ესტუმრა მსოფლიო პატრიარქს და ბოლგარეთის ეგზარხოსს და სხვათა, რომ იმათ მთელი თავისი გავლენა მოიხმარონ მათდამი რწმუნებულ ეპარქიებში მშვიდობიანობის დასაცავად, „ნორდდოიჩ. ცაიტ.“-ი აცხადებს, რომ გერმანიის ელჩი მხოლოდ ზრდილობის გულისთვის იყო პატრიარქთან სადარბაზოდ, ამ საგანზე-კი სრულიად არაფერი არ უთქვამს. ბოლგარეთის ეგზარხოსთან ელჩი სრულიად არ ყოფილა.

პარიზი. გრენელში მანიფესტაცია მოხდა იმ ჯარიმის გამო, რომელიც დაადვეს „Petite Soeur des Pouvres“ კონგრეგაციების შესახებ კანონის დარღვევისათვის. მინისტრის კარზე ათასმა კაცმა მოიყარა თავი და მოჰყვა მონაზვნებისადმი თანაგრძნობის ნიშნად ყვირილს. ამგვარივე მანიფესტაციები მოახდინეს სტუდენტ-კათოლიკებმა დეპუტატთა პალატის სადგომის წინ.

პარიზი. გუშინ კრება ჰქონდათ [illegible] უმთავრეს წინამძღვარს. გადასწყვიტეს, გამოაქვეყნონ განმარტება და პროტესტი იმ ბრალდების წინააღმდეგ, რომელსაც კონგრეგაციებს სდებენ, ვითომ ისინი საპოლიტიკო საქმეს ემსახურებიან. როგორც „ფიგარო“-ს ატყობინებენ, ერთხმად დაადგინეს ასეთ დევნისთვის პასსივურ წინააღმდეგობის მეტი არა მოიმოქმედონ-რა.

ლოძი. მთავრობის ინსპექტორის მეთაურობით შემდგარმა კომისიამ დაათვალიერა სლა-ტგინ-ლოძის ახალი გზა და მოიწონა. მატარებლების მიმოსვლა ამ დღეებში დაიწყება. ის მატარებელი, რომლითაც კომისია იყო, საათში 60 ვერსს გადიოდა.

სოფია. საერთო კრებაში მინისტრ-პრეზიდენტმა ოფიციალურად განაცხადა, რომ სამინისტრომ თანამდებობიდან გადადგომის ქაღალდი შეიტანა. სხდომა დაიხურა.

პეტერბურგი. „რუს. ინვ.“-ში გამოქვეყნებულია უმაღლესი მადლობა კავალერიის გენერლის ტევიაშოვის მიმართ საინტენდანტო გამგეობის უფროსის თანამდებობის კარგად აღსრულებისათვის. გამოქვეყნებულია აგრეთვე ბრძანება ტევიაშოვის სახელმწიფო საბჭოს წევრად დანიშვნის შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

მატარებელთა ცხრილი

მიმოვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ციფრებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ციფრებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 8 საღამოს 7 ს. 0ს წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლის № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ყორაპანამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკევობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ყორაპანისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.)

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 . 28 წ.).

განცხადება!!
ქუთაისში
ექ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—3)

სხვა-და-სხვა ჯგვარის
საუკეთესო
ო-დე-კოლონ
№ 4711
რეინის თაიგულები
უმჯობესი ხანგრძლივი და იაფი დუხები ცხვირსახოცებისათვის
ყოველგვარ ყვავილის სუნნელებისა.
(მც. 3.—6)

ცინკოგრაფია
წიგნის. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 374.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ფარმაცევტთა ამხანაგობა
ტ ფ ი ლ ი ს ი
(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნიე ნომრების“ ქვეშ).
ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბორატორიისთვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელი საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვა.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. (100—15)

ელეოპატი
შვედური ბალზამი
პროფ. კინუნენისა
ამ საშუალებით შეიძლება შეჩერებულ იქმნას **თმის გაცვენა** და **ქერტლიც** მოისპოს. ის გარემოება, რომ 25 წლის განმავლობაში (1877 წლიდან) შეუწყვეტლივ თხოულობენ **ელეოპატს,** გვარწმუნებს, რომ ეს საშუალება სანდოა. იყიდება ყველგან.
ადრესი წერილებისთვის: პეტერბურგი, რაზიეჟაია, 13,—პროფ. კინუნენის **ელეოპატის** [illegible] საწყობში. (5. 4—1)

Дозв. ценз. Тифлисъ, 15 марта, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)